**თბილისის მერია**

ქ. შარტავას ქ.№7

TBILISI.GOV.GE

სარეგისტრაციო ნომერი: 07/126969-2

თარიღი: 28.09.11

09.11

თბილისის მერს

ბატონო გიორგი,

2011 წლის 13 სექტემბრს, თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს მივმართეთ №11/118704-7; 11/118709-7 და 07/118693-25 წერილებით, რაზეც 2011 წლის 21 სექტემბერს ამავე სამსახურის უფროსისგან, გიორგი ქორქაშვილისგან, მივიღეთ ერთიანი წერილი.

მიგვაჩნია, რომ გამოგზავნილი პასუხი არასრულია და მომზადებულია ზერელედ, ყოველგვარი პროფესიონალიზმის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

1. საქალაქო სამსახურის უფროსი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს 10 დღის ვადაში თუ საჭიროა: "სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიება და დამუშავება"; ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანი ვალდებული იყო შესაბამისი ორგანოდან გამოეხოვა ინფორმაცია და ისე მოეწოდებინა თბილისის ტერიტორიაზე არსებული ბაღებისა და სკვერების სრული სია;
2. ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ზემოაღნიშნულ წერილში ასევე საერთოდ არაფერია ნათქვამი ჩვენს 07/118693-25 წერილით მოთხოვნილ ინფორმაციაზე, რომლითაც ვითხოვდით ქ.თბილისში მოქმედი აგრონორმების სტანდარტების განმსაზღვრელ დოკუმენტს რაც ფაქტიურად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას ნიშნავს. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო განემარტა და ეცნობებინა ჩემთვის ეს გადაწყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და ჩემი უფლებების მითითებით;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ თბილისის მერიის გამწვანებისა და ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის უფროსს დაავალოთ მოგვცეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სრულად და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.

დანართი: გ.ქორქაშვილის 2011 წლის 21 სექტემბრის წერილი (1ფ)

ააიპ "უსაფრთხო სივრცის"
თავმჯდომარე ანა გაბრიაძე /ა.გაბრიაძე/